

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი



საკონფერენციო თემა: თბილისი - ღამის განათება

მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი: ალექსანდრე ჩუტკერაშვილი

თემის ხელმძღვანელი: ბელა თინიკაშვილი

17/06/2019

თბილისი

სარჩევი:

1. აქტუალობა-----	3
2. ისტორიული ექსკური-----	3
3. რეალობა და პრობლემა-----	6
4. ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები ქუჩის ხელოვნური განათების შესახებ---	8

## თბილისი – ღამის განათება

### აქტუალობა:

სინათლე არქიტექტურულ გარემოზე ზემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ელექტროენერჯის და მისი დანადგარებისა თუ საშუალებების სწრაფმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა არქიტექტურისა და შუქგანათების სინთეზი. ღამის განათება გვამღვს საშუალებას, ხაზი გავუსვათ ქალაქის განაშენიანების თავისებურებებს, ლოკალიზება მოვახდინოთ ქალაქის თავისებურ აქცენტებზე და შევექმნათ ჰარმონიული დამოკიდებულება ღამით მოძრავ ადამიანსა, ქალაქის ქუჩებსა თუ მოედნებს შორის.

### ისტორიული ექსკურსი

თბილისის ქუჩების განათება ღამის საათებში 1850-იან წლებში დაიწყო. განათება ჯერ სანთლებით, შემდგომ კი ნავთისა და გაზის ფანრების საშუალებით ხორციელდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს კი, თბილისის ქუჩები პირველმა თბოელექტროსადგურმა გაანათა. მას შემდეგ ყოველწლიურად თბილისის ქუჩების გასანათებელი წყარო იზრდება და თვალშისაცემია ტექნიკური პროგრესი, რომელიც განათების სისტემამ განიცადა.

სახლებისა და ქუჩის განათება თბილისის მთავრობისთვის სერიოზული პრობლემა იყო მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე. საღამოს მოახლოებისთანავე ქალაქური ცხოვრება კვდებოდა, ყველა კარი ირაზებოდა და მხოლოდ ყარაულები რჩებოდნენ ქუჩებში, რომლებიც მთვარის შუქისა და საკუთარი სანთლის ან ნავთის ფანრების იმედზე იყვნენ. იმ დროის თბილისში ამბობდნენ კიდევ „არ ენდო ქუჩის ფანარს, ენდე ვარსკვლავებს ცაზე“. მას შემდეგ, რაც თბილისს რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე ესტუმრა, ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ქუჩების განათებაზე ეზრუნა. 1850 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული გაზეთი – „კავკაზი“ წერდა: ტახტის მემკვიდრე ქართველი დიდგვაროვნების მიერ ორგანიზებულ მეჯლისს

დაესწრო, ერთ-ერთ ბაღში, რომელიც ათასნაირი ფერის ფანრით იყო განათებული, ასევე ბრწყინვალედ იყო განათებული თავად დარბაზიცო. გაზეთის თანახმად, იმ დღეს თბილისი არნახულად განათებული ქალაქი გახლდათ, ილუმინაციები ქალაქის ყველა კუთხეში იყო, მათ შორის – სომხის ბაზარი და ზუბალაშვილების ქარვასლა ორიგინალურად ყოფილა განათებული.

განათებასთან დაკავშირებული სიტუაცია შედარებით გამოსწორდა მას შემდეგ, რაც აირზე მომუშავე ფანრების მონტაჟი დაიწყო. გაზის განათება ნავთის ან სპირიტ-სკიპიდარის ორთქლზე მუშაობდა და მათი უმეტესობა თბილისში მიხეილ ვორონცოვის მთავარმართებლობის დროს შემოიღეს. 1853 წელს თბილისი რამდენიმე ასეული ასეთი ფანრით ნათდებოდა, თუმცა ქუჩებს მხოლოდ მაშინ ანათებდნენ, თუკი მთვარის შუქი საკმარისი არ იყო და ისიც – სექტემბრიდან მაისის ჩათვლით. ზაფხულში თბილისი ჩაბნელებული იყო ღამითაც.

ქალაქის ქუჩები მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ტექნიკურმა პროგრესმა მაღალ დონეს მიაღწია. შეიქმნა პოლიგრაფიული საშუალებები, ადამიანებმა შექმნეს ე. წ. „ღამის“ განათება და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტის აღქმა შესაძლებელი გახდა არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც. განათებული ქუჩები ზოგჯერ მეტადაც კი ზემოქმედებს მნახველებზე, ვიდრე დღისით.

ისტორიულ განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად პროგრესირებდა განათების ტიპებიც. დღესდღეისობით გარე ხელოვნურ განათებაში გვხვდება განათების 4 ძირითადი ტიპი:

1. ლამპიონი
2. ვიტრინების განათება
3. რეკლამა
4. შენობის ფასადის განათება

**ლამპიონი** – დღეს ურბანული დაგეგმარების განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს. ფართოდ გამოიყენება როგორც ცენტრალური ქუჩებისა და მაგისტრალების, ასევე პარკების და სკვერების გასანათებლად. ფუნქციასთან ერთად წარმოადგენს დეკორატიული გაფორმების ელემენტსაც, ამიტომ გასათვალისწინებელია თუ როგორი ფორმა, დეკორი და ნათება ექნება, რადგან ჰარმონიულად შეერწყას ურბანულ გარემოს.

**ვიტრინა** – ქალაქის ხასიათს, განსაკუთრებით ღამის საათებში, სხვა გამანათებელ სისტემებთან ერთად მკვეთრად განსაზღვრავს ისევე, როგორც შუქრეკლამა. შუქრეკლამის რამოდენიმე სახე არსებობს. ყველაზე მეტად გავრცელებული სახეებია:

1. ყველა სახის ვიტრინები (განსაკუთრებით სავაჭრო);
2. სარეკლამო დასახელებები და წარწერები;
3. ელექტრო-დინამიური რეკლამა - "მოდრავი სტრიქონი";

განათებული ვიტრინების ძირითადი დანიშნულება სარეკლამო საშუალებების ექსპონირებაა, რა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ტექნიკურ საშუალებებსა და გადაწყვეტების პრინციპებს, რომლებიც გამოყენებულია გარკვეულ შემთხვევებში.

შუქრეკლამის ისეთი სახე, როგორცაა ელექტრო-დინამიური ტექსტური რეკლამა, ანუ "მოდრავი სტრიქონი", გამოიყენება არა მხოლოდ რეკლამისათვის, არამედ აგიტაცია-პროპაგანდისთვისაც. "მოდრავი სტრიქონი" უნივერსალურია იმ თვალსაზრისით, რომ მისი მუდმივი მდებარეობა საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა შინაარსის ტექსტი განვათავსოთ.

აღსანიშნავია, რომ ერთი შენობის განათებით არ უნდა ხდებოდეს მეორე ნაგებობის დაკნინება, განათება უნდა ქმნიდეს განწყობას გარემოში და ხაზს უსვამდეს შენობის ფორმებს, საინტერესო დეტალებს. რაციონალური გარე განათება ითვალისწინებს ლანდშაფტის და შენობის თავისებურებებს.

## რეალობა - პრობლემა

ტურიზმის მოზიდვისთვის სხვადასხვა ფაქტორების გარდა ჩვენს დედაქალაქში მნიშვნელოვანია ღამის სწორი განათება. ზომიერად უნდა განათდეს საცხოვრებლების და საზოგადოებრივი შენობების ფასადები. გადაჭარბებული განათება უკარგავს ამათუიმ შენობას მთავარ იერსახეს და ამავდროულად დისკომფორტს უქმნის მობინადრეებს. ძალიან ბევრი ლოკაცია გვაქვს თბილისში სადაც ვაწყდებით არასწორად შერჩეულ და განხორციელებულ ღამის განათებას, რომელიც არათუ მომგებიანია შენობისთვის, არამედ – წამგებიანი. კონკრეტულად შეგვიძლია განვიხილოთ სასტუმრო „ბილტმორი“ ნარიყალა, რუსთაველისა და მარჯანიშვილის გამზირები და კიდევ მრავალი სხვა კონკრეტული თუ კვარტალური ობიექტები.

**ბილტმორი** - ერთადერთი ხუთვარსკვლავინი სასტუმრო თბილისში - გარდა იმისა, რომ უინტერესო ფასადი აქვს, რომელიც დღის განმავლობაში სათბურის ეფექტს ქმნის, ირეკლავს მზის სხივების უზარმაზარ რაოდენობას და ასხივებს პირდაპირ თბილისის ქუჩებსა და შენობებზე, ამავდროულად მისი ღამის განათება არ წარმოდგენს რაიმე განსაკუთრებულს, პირიქით დიდ პრობლემას უქმნის თბილისის მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით მთაწმინდის მოსახლებას, რადგან შენობის ფასადზე დამონტაჟებული უზარმაზარი სარეკლამო ეკრანი, მიმართული მთაწმინდის მიმართულებით და ასხივებს სხვადასხვა მოციმციმე სინათლეს. რაც რათქმაუნდა დიდ დისკომფორტს უქმნის მაცხოვრებლების ბინებს, სადაც მთელი ღამის განმავლობაში შედის ეს განათება.

რაც შეეხება რუსთაველის გამზირს, ჩემი აზრით, აქ საკმაოდ პრობლემურ საკითხს ვაწყდებით, რადგან რუსთაველის გამზირი წარმოდგენს თბილისისთვის ერთ-ერთ ძირითად მთავარ „ქუჩას“ და ამავდროულად დიდი ტურისტული პოტენციალითაც გამოირჩევა, აქ განთავსებულია უამრავი ბრენდული მაღაზიები, რესტორნები, კაფეები და ა.შ., ყველა ობიექტი “ცდილობს” მისი რეკლამა სხვისაზე

დომინირებული იყოს, ამიტომ მივიღეთ შუქ-რეკლამებით აჭრელებული ისტორიული შენობები რუსთაველის გამზირზე, რომელიც თავის დიად სახეს ბოლომდე ვეღარ წარმოაჩენს ღამის კონტექსტში. ამას ემატება დომინანტი შენობების ფასადის განათება, რომელიც იგივე პრინციპზეა აგებული და კიდევ, ქუჩის გარე განათება, რომელიც ერთ ქუჩაზე მრავალნაირია: როგორც სტილით ასევე ფერით, ერთმნეთისთვის შეუსაბამო და რაც ყველაზე მთავრი ქუჩის განათება სხვა სათქმელს ამბობს, შენობების ექსტერიერებზე განთავსებული განათება - სხვა სათქმელს. ისინი არ მოდიან ერთმანეთთან ჰარმონიაში – რაც ღამის განათების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა.

ღამის განათება საცხოვრებელი სახლების ფასადებზეცაა მინათებული, რაც აბსურდია - საცხოვრებელი სახლი შიგნიდან უნდა ნათდებდეს. ეს გაცილებით უფრო თბილი და ადამიანური იქნებოდა. მარჯანიშვილიზე კერძოდ აღმაშენებელზე რეკონსტრუქციის შემდეგ მთლიან ქუჩაზე ყველა შენობის ფასადი გაანათეს. ამით დაიკარგა შენობის შინაგანი სიტბო, სულ რომ არაფერი იქ მცხოვრები ხალხისთვის დისკომფორტს წარმოადგენს ღამე გარედან შემოსული სინათლე.

ვაწყდებით ორ უკიდურესობას: შენობას ან აკლია განათება და საერთოდ ჩაბნელებულია ფასადი (ძალიან სუსტ განათებაში), ან კიდევ განათების სიჭარბეა. ”ზევრი არ ნიშნავს კარგს”; აი მაგალითად ნარიყალა, რომელიც ღამე დანთებულ კოცონს ჰგავს, დაკარგულია ყველა მისი ფორმა სიდიადე, ეფექტურობა.

## ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები

### ქუჩის ხელოვნური განათების შესახებ

1. ქალაქის ხელოვნური ღამის განათება ხორციელდება ფრაგმენტალურად ქალაქის, რაიონის ან ქუჩის არქიტექტურულ-ურბანული გადაწყვეტისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ როგორც ახალი ქალაქების, ასევე ძველი ქალაქების ქუჩების ღამის პერიოდში სრულფასოვნად გასანათებლად, საჭირო და აუცილებელია განათების კომპლექსური კომპოზიციური სისტემის შექმნა მთელი ქალაქისათვის;

2. ხელოვნური განათების სისტემის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მკაცრ ფუნქციონალურ საფუძველზე დაყრდნობით. არ უნდა მოხდეს სარეკლამო, დეკორატიული და ელექტრონული ეფექტებით ზედმეტად გატაცება, საერთო არქიტექტურულ-კომპოზიციური და დიზაინური ამოცანების შესუსტების ხარჯზე;

3. ქალაქის ღამის განათებისას უნდა გამოვიყენოთ ისეთი საშუალებები, რომლებიც არ შეუშლიან ხელს ქალაქის კომფორტულ ცხოვრებას. ქალაქში უნდა შეიქმნას ისეთი სურათი, რომლის ესთეტიურ-მხატვრული სახე იმუშავებს მნახველზე იდეოლოგიურად და ფსიქოლოგიურად;